

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის; მზია სუხიშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოგესალმებით.

მაქვს პატივი მეორედ წარვსდგე თქვენს წინაშე გაწეული მუშაობის ანგარიშით, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო ყველა თქვენთაგანს თანადგომისათვის. მოგეხსენებათ 2021 წლის 3 დეკემბრიდან გახლავართ საკრებულოს წევრი და იურიდიული კომისიის თავმჯდომარე

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იურიდიულ კომისიას ჩატარებული აქვს 9 სხდომა გატანილი გვაქვს 37 საკითხი ( იხ დანართი)

, აგრეთვე გახლავართ კულტურის, განათლებისა და სოციალური კომისიის წევრი სადაც ვესწრებოდი 8 სხდომიდან ყველას და აქტიურად ვიყავი ჩართული ყველა განსახილველ საკითხებში.

აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე და ვაფიქსირებდი საკუთარ პოზიციას.

ასევე გახლავართ საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი სადაც აქტიურად ვარ ჩართული სამუშაო პროცესებში,

მაქვს ხშირი კომუნიკაცია რაიონში მცხოვრებ მოსახლეობასთან, როგორც ჩემი სოფლის(ხირსის )

ასევე რაიონში მცხოვრებ ნოსახლეობასთან.

ვეცდები შემდგომშიც აქტიური მონაწილეობა მივიღო რაიონის განვითარებაში და გაძლიერებაში,რათა მეტად გავამართლო ჩემი ამომრჩევლის იმედები.